ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №575080

ნომერი: AR190979

თარიღი : 01.03.2013

გაცემის თარიღი : 07.03.2013

გაცნობის თარიღი : 15.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გობრომიძის N13 შ.პ.ს. დილეოს და ავტო სადგომს შორის/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , შპს ,,ლეგია და კომპანია"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , ნაკვეთი N03/036-ის მიმდებარედ (ნაკვ.03/042)/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე გოდაბრელიძე პ/ნ 01005042839
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 7ბ ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად განმეორებით გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში (#754 (28.07.2009) განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა, თანაგანმცხადებლის ველში უნდა დააფიქსიროთ მიწის ნაკვეთის მესაკუთის – შპს „დილეო“–ს წარმომადგენელი ან დამატებით წარმოადგინოთ მისი მინდობილობა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მიწის ნაკვეთის ამონაწერში საჯარო რეესტრიდან დაფიქსირებულია ვალდებულება (შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე). გამომდინარე აქედან, პროექტის შეთანხმების სტადიაზე ამოღებული იქნას აღნიშნული ვალდებულება,

აღნიშნული მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით#01.11.17.003.162, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)-ში და საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სსზ–1)-ში (იხ.დანართი); საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)-ში, "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს2009 წლის 27 მარტის#4-13 გადგადაწყვეტილების თანახმად, საზკვების ობიექტის განთავსება საჭიროებს სპეციალური ზონალური ნებართვის მიღებას. შესაბამისად, საკითხი განსახილველად წარდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე. გამომდინარე აქედან, გთხოვთ, დახარვეზებული მოთხოვნის ტექსტში, გვაცნობოთ საპროექტო ობიექტის განთავსება ხდება თუ არა საცხოვრებელი ზონა 3-ის არეალში.

ამასთან, გაცნობებთ, რომ არასწორედ გაქვთ მითითებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების რეკვიზიტები(დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი და თარიღი). გთხოვთ, დახარვეზებულ ველებში მითითებული იქნეს შესაბამისი რეკვიზიტები.

ტექნიკური გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.